



ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 6 გადაწყვეტილებით

06.12.2021 წ.

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
„საერთაშორისო ურთიერთობები“**

სწავლების საფეხური: აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე: კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე

ფართო სფერო: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო: 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
Social and Behavioural Sciences

დეტალური სფერო: 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
Political Sciences and Civics

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
Master of International Relations

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და უცხოურ (ინგლისურ) ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. უცხოური (ინგლისური) ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს.

პროგრამის მიზნები

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხების, რეგიონალური და საერთაშორისო კონფლიქტების, მათი მართვის, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის, ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების, საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემების, ლიდერობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ;
- გამოუმუშავოს: აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გამოწვევების, მათ შორის: ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ამოცნობის, მათი მართვის ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების, ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და დასკვნების ჩამოყალიბების, ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების ქართულ და უცხოურ (ინგლისურ) ენაზე წარდგენის უნარი;
- გამოუმუშავოს: სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: სასწავლო კომპონენტს და კვლევით კომპონენტს (30 კრედიტი). სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) აერთიანებს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (50 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტს (10 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს (30 კრედიტი).

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტი,

მათ შორის:

სავალდებულო კომპონენტები: 90 კრედიტი

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 50 კრედიტი
- პრაქტიკა 10 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი

არჩევითი კომპონენტი 30 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 30 კრედიტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს (10 კრედიტი) - პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში. სპეციალობით დასაქმებულმა

სტუდენტმა პრაქტიკის ნაცვლად 10 კრედიტი უნდა დააგროვოს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევით კომპონენტში მოიაზრება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (30 კრედიტი).

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 120 კრედიტი = 3000 სთ). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება- ჩაბარება), პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს (მომზადება და დაცვა).

სწავლების მეთოდოლოგია და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკა), ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება). სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ვერბალურ ახსნა-განმარტებას, წიგნზე მუშაობას, წერით მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), გონებრივ იერიშს (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (IBD), როლურ და სიტუაციურ თამაშებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ანალიზს, დისკუსიას/ დებატებს, პრეზენტაციას, გუნდურ მუშაობას, პრაქტიკულ მეთოდებს, დამოუკიდებელ სწავლას. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამოიმუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- (A) აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიებს, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხებს, რეგიონალურ და საერთაშორისო კონფლიქტებს, მათი მართვის გზებს, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საკვანძო საკითხებს, ლიდერისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს და მის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითებს, გლობალიზაციის თანმდევ პროცესებსა და ახალ მსოფლიო წესრიგს, ევროპის ქვეყნების მმართველობით სისტემებს, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ პრობლემებს;
- (B) ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე პროცესებს, ადგენს მნიშვნელოვანი მოვლენების თანმიმდევრულობას და აღიარებს გლობალური გამოწვევების წინაშე ერთიანი მიდგომების საჭიროების აუცილებლობას;
- (C) შეიმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროცესების მართვის ახალ, ორიგინალურ გზებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროცესს;
- (D) ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროცესების, მათ შორის: ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას.
- (E) წარადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი კვლევის შედეგებს ქართულ და უცხოურ (ინგლისურ) ენაზე;
- (F) იცავს ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული საქმიანობის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში;
- (G) დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი, უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სრუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი ვასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

დასაქმების სფერო

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: სახელმწიფო სტრუქტურებში, საჯარო დაწესებულებებში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში; არასამთავრობო სექტორში, დიპლომატიურ სამსახურში. დაიკავოს მმართველობითი რგოლის პოზიციები და განახორციელოს მმართველობითი, ადმინისტრაციული, ანალიტიკური და სხვა სახის საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია სადოქტორო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული ცენტრები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები და სხვ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია სფეროში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); eDuke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>), EBSCO Legal Collection, Heinonline <https://home.heinonline.org/content/Legal-Classics/>.

სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ დაწესებულებებთან და იყენებს იქ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერა. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების (მათ შორის შიდა გრანტი, კონფერენციები და სხვ.), სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების და სხვა აქტივობების ხარჯები. პროგრამისათვის სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი,

ასოცირებული პროფესორი

სოფო ჩქოფია

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა

N	კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები			
					საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი მუშაობის საათები	I	II	III	IV
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა/მსოლიონი	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
სავალდებულო კომპონენტი										90 კრედიტი			
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი													
1.	პოლიტიკის მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	-	5	125	15	30	2	47	78	x			
2.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	-	5	125	15	30	2	47	78	x			
3.	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	-	5	125	15	30	2	47	78	x			
4.	საქმიანი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	-	5	125	15	30	2	47	78	x			
5.	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	3	5	125	15	30	2	47	78		x		
6.	ლიდერობის თეორია და პრაქტიკა	-	5	125	15	30	2	47	78		x		
7.	ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების შედარებითი ანალიზი	3	5	125	15	30	2	47	78		x		
8.	კონფლიქტების მართვა და ანალიზი	2	5	125	15	30	2	47	78		x		
9.	საერთაშორისო	-	5	125	15	30	2	47	78			x	

	სამართლის აქტუალური პრობლემები													
10.	ეროვნული და სართაშორისო უსაფრთხოება	8	5	125	15	30	2	47	78			x		
სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი -											10 კრედიტი			
11	პრაქტიკა	2.3.8	10	250	-	-	-	158	92			x		
სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი -											30 კრედიტი			
12	სამაგისტრო ნაშრომი	1-11	30	750	-	-	-	30	720				x	
არჩევითი კომპონენტი											30 კრედიტი			
პრითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები:														
13	გეოეკონომიკა	-	5	125	15	15	2	32	93	x	10 კრედიტი			
14	საარჩევნო ტექნოლოგიები	-	5	125	15	15	2	32	93	x				
15	პოლიტიკური თეორიები	-	5	125	15	15	2	32	93	x				
16	გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	-	5	125	15	15	2	32	93	x				
17	ორგანიზაცია და მართვის პრინციპები	-	5	125	15	15	2	32	93		x	10 კრედიტი		
18	დემოკრატია და დემოკრატიზაცია	-	5	125	15	15	2	32	93		x			
19	გენდერი და პოლიტიკა	-	5	125	15	15	2	32	93		x			
20	სახელმწიფო ადმინისტრაციული მარკეტინგი	-	5	125	15	15	2	32	93		x			
21	პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	3	5	125	15	15	2	32	93			x		
22	სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი	3	5	125	15	15	2	32	93			x	10კრედიტი	
23	ევროკავშირის პოლიტიკა	-	5	125	15	15	2	32	93			x		
24	ეკონომიკური დიპლომატია	5	5	125	15	15	2	32	93			x		
*შენიშვნა: 1) სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 90 კრედიტის (მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებში და პრაქტიკულ კომპონენტში) მოპოვება, მეცნიერ ხელმძღვანელის და ანტიპლაგიატის დადებითი დასკვნები.														

კურიკულუმის რუკა

N	კომპონენტი	სწავლის შედეგები						
		ცოდნა და გაცნობიერება		უნარი			პასუხისმგებლობა	და
1	2	A	B	C	D	E	F	G
სავალდებულო კომპონენტები:								
1.	პოლიტიკის მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	1,2	1,2	1,2	1	1	1	1
2.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	1,2	1	1,2	1	1		1
3.	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	1,2	1	1,2	1	1		1
4.	საქმიანი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	1		1,2		2,3		1
5.	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	1,2	2		1	2		2
6.	ლიდერობის თეორია და პრაქტიკა	2	2	2	2	2		2
7.	ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების შედარებითი ანალიზი	2	2	2	2	2		2
8.	კონფლიქტების მართვა და ანალიზი	2	2	2	2	2	1	2
9.	საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	2	2	2	2	2		2
10.	ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება	3	3	3	3	2		2
11.	პრაქტიკა			3	3	3	2,3	3
12.	სამაგისტრო ნაშრომი სპეციალობაში	3	3	3	3	3	3	3

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

სასწავლო კურსი	სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი
პროფესორები:	
პოლიტიკის მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	გურამ მარხულია
გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	
პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	
ორგანიზაცია და მართვის პრინციპები	
ასოცირებული პროფესორები:	
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	სოფო ჩქოფოია
კონფლიქტების მართვა და ანალიზი	
ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება	
სახელმწიფო ადმინისტრაციული მარკეტინგი	
ევროპის ქვეყნების მმართველობითი სისტემების შედარებითი ანალიზი	მარინა იზორია
სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი	
პოლიტიკური თეორიები	
საარჩევნო ტექნოლოგიები	
საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	ნინო ოთხოზორია
დემოკრატია და დემოკრატიზაცია	
ლიდერობის თეორია და პრაქტიკა	
ეკონომიკური დიპლომატია	თამარ ჩაჩანიძე
გეოეკონომიკა	
მოწვეული პროფესორები:	
საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	ნინო სულაბერიძე
საქმიანი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	თამარ ხეცურიანი
გენდერი და პოლიტიკა	ემილია ალავერდოვა
გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	
ევროკავშირის პოლიტიკა	